სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ დისციპლინური წარმოების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. აღნიშნული წესი შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონის საქართველო შრომის კოდექსის, „პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 10 სექტემბრის №176\ნ ბრძანების, „პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის №164/ნ ბრძანებისა და სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ შინაგანაწესის შესაბამისად.
2. წინამდებარე წესი განსაზღვრავს სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ (შემდგომში - კოლეჯი) თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებს, დისციპლინური გადაცდომების ნუსხას, დისციპლინური სახდელის სახეებს, პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხებს, დისციპლინური გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და დისციპლინური წარმოების წესს.

მუხლი 2. დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები

1. დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველია:
   ა) მოქმედი კანონმდებლობის დარღვევა;
   ბ) კოლეჯის წესდებით, შინაგანაწესით და სხვა ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება;
   გ) ნებისმიერი საქციელი/ქმედება, რომელიც შეიძლება წინამდებარე წესით არ არის განსაზღვრული, როგორც დისციპლინური გადაცდომა, თუმცა შეიცავს ელემენტს, რომელიც გონივრულ ეჭვს ბადებს დარღვევის ბუნებაზე და ეწინააღმდეგება ეთიკურ-ზნეობრივ ნორმათა მოთხოვნებს.

მუხლი 3. დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი

1. დისციპლინური წარმოების დაწყება შესაძლებელია კოლეჯის დირექტორის, დისციპლინური კომისიის, თანამშრომლის, პროფესიული სტუდენტის, აგრეთვე იმ პირის მოტივირებული განცხადების/საჩივრის ან შეტყობინების საფუძველზე, რომელსაც მიაჩნია, რომ თანამშრომლის ან პროფესიული სტუდენტის ქმედებით ზიანი მიადგა მის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.
2. კოლეჯის თანამშრომლის ან/და პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნა უნდა განხორციელდეს მხოლოდ კოლეჯის შინაგანაწესითა და წინამდებარე წესით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამართლიანი და გამჭვირვალე პროცედურის გზით.
3. კოლეჯის თანამშრომლის ან/და პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნის წამოწყება არ უნდა ზღუდავდეს კოლეჯის თანამშრომლის ან/და პროფესიული სტუდენტის უფლებას მონაწილეობა მიიღოს სამუშაო და სასწავლო პროცესში, გარდა კოლეჯის შინაგანაწესით გათვალისწინებული შემთხვევებისა, თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, კოლეჯის საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას.
4. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება ხდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით საამისოდ შექმნილი კომისიის მიერ მიღებული ოქმის საფუძველზე.
5. დისციპლინური წარმოება დაიწყება გადაცდომის გამოვლენისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს ერთი თვისა მისი გამოვლენის დღიდან. თანამშრომლისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრება დაუშვებელია შრომითი ურთიერთობის შეჩერების, შვებულებისა და მივლინების დროს. აღნიშნულ ვადაში არ შედის დისციპლინური წარმოების შეჩერების დრო.

მუხლი 4. დისციპლინური გადაცდომის განმხილველი კომისია და დისციპლინური წარმოება

1. დისციპლინური წარმოება თანამშრომლის/პროფესიული სტუდენტის მიმართ იწყება პროფესიული სტუდენტის, კოლეჯის ნებისმიერი თანამშრომლის ან სხვა დაინტერესებული პირის მიერ შემოსული განცხადების საფუძველზე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 181-ე მუხლით გათვალისწინებული წესით, გადაცდომის გამოვლენიდან ერთ თვის განმავლობაში. საჩივარი უნდა იყოს მოტივირებული და მკაფიოდ განსაზღვრავდეს დისციპლინური გადაცდომის სახეს. საჩივარში უნდა იყოს ჩამოყალიბებული დისციპლინური გადაცდომა (გადაცდომის სახე, დრო, ადგილი) და მასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც ამტკიცებენ გადაცდომას. აგრეთვე პირის ვინაობა, რომლის მიმართაც შეტანილია საჩივარი და მომჩივანის ვინაობა.
2. დისციპლინური წარმოებისათვის კოლეჯის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე იქმნება კომისია, რომელიც შედგება თავმჯდომარისა და წევრებისაგან.
3. კომისია საქმის განხილვის დროს ვალდებულია მოიპოვოს და შეისწავლოს გადაცდომის მიზეზები და გარემოებები, დაკითხოს თვითმხილველები, ჩამოართვას მოწმეებს ჩვენებები, მოისმინოს იმ პირის მოსაზრებები, ახსნა-განმარტება, რომელსაც ედავებიან დისციპლინური გადაცდომის ჩადენას. კომისია ვალდებულია მოუსმინოს საჩივრის ავტორს, ინფორმაციის დაზუსტების მიზნით მოითხოვოს დოკუმენტების და სხვა შესაბამისი მასალების წარდგენა.
4. წარმოდგენილი საჩივრის, მოკვლევისა და არსებული მტკიცებულებების საფუძველზე კომისია შეისწავლის საქმეს არაუმეტეს 10 (ათი) დღის განმავლობაში და დისციპლინური გადაცდომის დადასტურების შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას წარმოების დაწყების ან დაწყებაზე უარის თქმის შესახებ, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პირს, რომლის მიმართაც დაიწყო დისციპლინური საქმის წარმოება. დისციპლინური წარმოების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს ერთ თვეს.
5. იმ შემთხვევაში, თუ კომისია დისციპლინური დევნის განხორციელების დროს დაადგენს, რომ არ არსებობს კოლეჯის თანამშრომელზე ან/და პროფესიულ სტუდენტზე დისციპლინური სახდელის დაკისრების წინამდებარე დებულებით

განსაზღვრული საფუძვლები, იგი წყვეტს საქმის განხილვას.

6. კომისია დისციპლინური სახდელის განსაზღვრისას ვალდებულია გაითვალისწინოს დარღვევის სიმძიმე, ხარისხი, მიყენებული ან შესაძლო ზიანი.
7. გადაცდომის განმეორებით ჩადენის დროს კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას უფრო მკაცრი დისციპლინური სახდელის გამოყენების შესახებ.
8. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის აღძვრის/ან აღძვრაზე უარის თქმის შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული.
9. კომისია აღნიშნული საკითხების განხილვისას ხელმძღვანელობს კოლეჯის შინაგანაწესითა და წინამდებარე წესის ფარგლებში.
10. კომისია საქმეს განიხილავს სამართლიანად და მიუკერძოებლად, შეჯიბრებითობისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპების დაცვით.
11. დისციპლინური კომისიის სხდომები დახურულია, ხოლო დისციპლინური წარმოების მსვლელობაში მოპოვებული ინფორმაცია კონფიდენციალური.
12. სხდომებს ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, რომელიც კომისიის წევრებს აცნობს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს.
13. დისციპლინური გადაცდომის განმხილველი კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
14. პირი, რომლის მიმართაც მიმდინარეობს საქმისწარმოება, უფლებამოსილია დაესწროს საქმის განხილვას. დისციპლინური გადაცდომის ჩამდენ პირს წინასწარ ეცნობება სხდომის ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ. დისციპლინის დამრღვევი პირი სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული ყველა უფლებით.
15. დისციპლინის დამრღვევი პირის მიერ სხდომაზე დასწრების თანხმობის შემთხვევაში, საპატიო მიზეზით (ავადმყოფობა ან სხვა ობიექტური გარემოება) გამოუცხადებლობის შემთხვევაში სხდომის განხილვა შეჩერდება დისციპლინური დევნის შეჩერების ან გადადების მიზეზის აღმოფხვრის მომენტამდე, ხოლო არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში დისციპლინური კომისია უფლებამოსილია საქმე განიხილოს დისციპლინური დამრღვევის დასწრების გარეშე. აგრეთვე, სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, გამოიტანოს გადაწყვეტილება დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ.
16. დისციპლინური წარმოების შეჩერება შესაძლებელია, თუ საქმის შესწავლის დროს მოპოვებული მასალა ცხადჰყოფს, რომ პირს შესაძლოა ჩადენილი ჰქონდეს სისხლის სამართლის დანაშაული. ასეთ შემთხვევაში, საქმე უნდა წარიმართოს სათანადო კომპეტენციის მქონე ორგანოში.
17. სხდომაზე შესაძლებელია მოწვეულ იქნას მოწმე/მოწმეები.
18. პირის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის ან დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას დისციპლინური კომისია იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით. დისციპლინური კომისიის სხდომაზე სხდომის მდივანი ადგენს ოქმს, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი. განსხვავებული აზრი ფორმდება წერილობით და თან ერთვის გადაწყვეტილებას.
19. კომისიის მიერ მიღებული დასკვნის საფუძველზე კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ.

მუხლი 5. თანამშრომლის მიმართ დისციპლინური გადაცდომის სახეები

1. დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის თანამშრომელს ეკისრება დისციპლინური სახდელი.
2. თანამშრომლის დისციპლინური გადაცდომაა:
   ა) სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება;
   ბ) სამსახურებრივ მოვალეობისადმი დაუდევარი დამოკიდებულება;
   გ) კოლეჯისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების შექმნა;
   დ) ზნეობრივ-ეთიკური ნორმების წინააღმდეგ თანამშრომლის, პროფესიული სტუდენტის ან კოლეჯის დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი;
   ე) ქმედება, რომელიც ლახავს ცენტრის ავტორიტეტს;
   ვ) შრომის დისციპლინის დარღვევა;
   ზ) კონფიდენციალურობის პრინციპის დარღვევა ან საავტორო უფლებებით დაცული ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, რაც შესაძლოა გახდეს მასთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის და ფინანსური კომპენსაციის დაკისრების საფუძველი;
   თ) ალკოჰოლური ან ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ სამუშაოზე გამოცხადება ან მათი სამუშაოზე მიღება;
   ი) კოლეჯის ტექნიკისა და აღჭურვილობის უნებართვოდ გამოყენება;
   კ) პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა დარღვევა;
   ლ) პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის შეუფერებელი სხვა საქმიანობა და დაწესებულებისათვის საჭირო ინფორმაციის, მათ შორის პირადი მონაცემების არასწორი მიწოდება;
   მ) პროფესიულ სტუდენტზე ემოციური ან ფსიქოლოგიური ზეწოლა, ლექციაზე პოლიტიკური აგიტაცია;
   ნ) პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ ელექტრონული ჟურნალის არასრულყოფილი წარმოება.
3. დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის, თანამშრომლის მიმართ გამოიყენება შემდეგი დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები:
   ა) შენიშვნა;
   ბ) საყვედური;
   გ) სამსახურიდან გათავისუფლება.
4. წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურება მოხდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური გადაცდომის სახეები

1. პროფესიული სტუდენტის დისციპლინურ გადაცდომად ითვლება:
   ა) აზრებისა და შეხედულებების გამოხატვა იმგვარად, რაც ლახავს სხვა პირთა უფლებებს;
   ბ) ლექციის ჩაშლა ან ჩაშლის მცდელობა;
   გ) პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროფესიული სტუდენტის ან კოლეჯის სხვა თანამშრომლის სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფა, მათი ღირსების შემლახავი მოპყრობა, მათზე რაიმე ფორმით ზეწოლა;
   დ) კოლეჯისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების შექმნა;
   ე) ლექციები მიმდინარეობისას მობილურ-საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს სასწავლო პროცესს;
   ვ) ალკოჰოლური სასმელების, თამბაქოსა და საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნივთების კოლეჯის ტერიტორიაზე შეტანა და გამოყენება;
   ზ) ალკოჰოლური ან/და სხვა სახის თრობის საშუალებების ზემოქმედების ქვეშ კოლეჯის ტერიტორიაზე გამოცხადება და გადაადგილება;
   თ) კოლეჯის ინფორმაციულ სივრცეში ყველა ტიპის კომპიუტერული თამაში, არასანქცირებული ჩართვების განხორციელება, კოლეჯის ადმინისტრაციასთან შეთანხმების გარეშე პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია;
   ი) პროფესიული სტუდენტის მიერ კოლეჯის ბიბლიოთეკის დებულებით გათვალისწინებული წიგნებით სარგებლობის წესების დარღვევა (გატანილი წიგნების დროულად დაუბრუნებლობა, დაკარგვა).
2. პროფესიულ სტუდენტს, დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის შეიძლება დაეკისროს შემდეგი დისციპლინური სახდელი:
   ა) შენიშვნა;
   ბ) საყვედური;
   გ) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.
3. დაუშვებელია სასტიკი ან ისეთი დისციპლინური სახდელის გამოყენება, რომელიც ლახავს პროფესიული სტუდენტის პატივსა და ღირსებას, საფრთხეს უქმნის პროფესიული სტუდენტის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

მუხლი 7. თანამშრომლის/პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური სახდელის შეფარდება

1. თანამშრომლისათვის/პროფესიული სტუდენტისათვის დისციპლინური სახდელის შეფარდება:
   ა) დისციპლინური გადაცდომისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ერთი დისციპლინური სახდელი;
   ბ) დისციპლინური გადაცდომის ჩადენა დისციპლინური სახდელის გაქარწყლებამდე ან ვადაზე ადრე მოხსნამდე, უკვე შეფარდებულ დისციპლინურ სახდელზე უფრო მძიმე დისციპლინური სახდელის გამოყენების საფუძველია;
   გ) დისციპლინური სახდელის დადებამდე თანამშრომელს/პროფესიულ სტუდენტს უნდა ჩამოერთვას წერილობითი ახსნა-განმარტება. ახსნა-განმარტების არარსებობის შემთხვევაში შედგენილ უნდა იქნას აქტი, რომელიც ხელმოწერილი იქნება დამსწრე პირთა მიერ, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების, აგრეთვე დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტისას მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ერთად წარსდგეს და ჩაერთოს დისციპლინურ წარმოებაში;
   დ) დისციპლინური სახდელის გამოყენებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ჩადენილი გადაცდომის შინაარსი და სიმძიმე, შედეგები, გადაცდომის ჩადენის გარემოებები;
   ე) დისციპლინური გადაცდომის ამსახველი გადაწყვეტილება და კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დისციპლინური სახდელის შეფარდების თაობაზე შეიტანება თანამშრომლის/პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში;
   ვ) დისციპლინარული გადაცდომის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, დისციპლინურ დევნას წყვეტს დისციპლინური კომისია. დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში შესაბამისი ორგანო საჩივარს ან განცხადებას უბრუნებს მომჩივანს და დაურთავს გადაწყვეტილებას დისციპლინური დევნის შეწყვეტის შესახებ;
   ზ) თუ საჩივრის ან შეტყობინების ავტორი უარს იტყვის საჩივარზე, დისციპლინური კომისია უფლებამოსილია შეწყვიტოს ან გააგრძელოს დისციპლინური დევნა.
2. დისციპლინური პასუხისმგებლობა დაკისრებულ უნდა იქნას 10 (ათი) დღის ვადაში იმ დღიდან, როდესაც კოლეჯის დირექტორისათვის ცნობილი გახდა მომხდარი გადაცდომის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარეობს შემოწმება არა უგვიანეს 1 თვისა.

მუხლი 8. დისციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნა

1. თუ კოლეჯის თანამშრომელმა/პროფესიულმა სტუდენტმა ადმინისტრაციული სახდელის ვადებში არ დაარღვია შრომის დისციპლინა, ამავე დროს თავი გამოიჩინა როგორც სანიმუშო და კეთილსინდისიერმა პიროვნებამ, მას შეიძლება მოეხსნას დისციპლინური სახდელი ვადის გასვლამდე, როგორც საკუთარი ინიციატივით, ასევე დისციპლინური გადაცდომის განმხილველი კომისიის შუამდგომლობით.
2. დისციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნა შეიტანება თანამშრომლის/პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში.

მუხლი 9. შეტყობინება დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილების შესახებ

1. დისციპლინური გადაცდომის განმხილველი კომისიის ასლი ეგზავნება დისციპლინურ დამრღვევს გადაწყვეტილების გამოტანიდან (5) ხუთი დღის განმავლობაში.
2. გადაწყვეტილების ასლი უნდა დაერთოს დისციპლინური დამრღვევის პირად საქმეს.

მუხლი 10. დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. დისციპლინური დამრღვევი უფლებამოსილია გაასაჩივროს დისციპლინური გადაცდომის განმხილველი კომისიის ან/და კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილება კანონით დადგენილი წესით გადაწყვეტილების გადაცემიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 11. სახდელის მოქმედების ვადები

1. დისციპლინური სახდელები: შენიშვნა და საყვედური მოქმედებს მხოლოდ გარკვეული ვადით, რომლის ამოწურვამდეც დისციპლინური დამრღვევი ითვლება დისციპლინურ სახდელშეფარდებულად.
2. თუ შესაბამისი პერიოდის განმავლობაში დისციპლინის დამრღვევი პირი არ ჩაიდენს დისციპლინურ დარღვევას, შენიშვნა ძალას კარგავს შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 2 (ორი) თვის შემდეგ, საყვედური კი 6 (ექვსი) თვის შემდეგ.